

# საბჭოთა სელოვნება

საქართველოს  
საბჭოთა  
სელოვნების  
კავშირის  
გაზეთი

ISSN 0132-1307

1981 9



ბერძნული ზამთრის  
1921 წლის

9 / 1981

*საქართველო*



# საბჭოთა სულთნობა


საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს  
უძველესი შუბრის

## შინაარსი

ოთარ თაქაიშვილი — საპარტვილოს კულტურის დაწესებულებათა და ორგანიზაციების აღმოსავლეთი	3
ელდარ შენგელაია — კარტველ ქრისტიანობის შემოქმედებითი აგებ- რები	15
ნატო ვანშაის საულ-მუხომეი ბურჯანაძე	23
გიორგი ციხლაძე — ქართული სილამაზის ბენი	32
გურამ კანკაძე — შინეშენი აღმოსავლეთ ქართული დამატარებელი	36
ლადო დონაძე — ზრივითი კილამის შემოქმედება	45
კულტურის კილამი ერთი აბალი კერა	56
ნათია ახალიანი — ბიზი მისინეშვილის დამატარებელი ბაშოშენი	53
ედიტ ციციშვილი — მხატვრები — წარმოება	61
პაატა ნაცვლიშვილი — მოქალაქე მონაწილე კატარა ბელი, სპორტული მოქალაქე მხატვრული	68
ნიკოლოზ შაქარაშვილი — მთავარი	78
ვახტანგ ქალიაშვილი — ქალის ისტორიული	91
ენვერ ნიჭიანი — ელმოც მარტვილის მონაწილე (პიესა)	96
ალექსანდრე შრედიშვილი — კოლხეთის მონაწილე წარმოება (პიესა)	106
ბრუნა	117

## თავადრი შუბრიკა მხატვრობა კინო არქიტექტურა ქრონიკა

მთავარი რედაქტორი  
ნოდარ გურგენიძე  
სამხატვრო კოლეგია:  
აკაკი ბაქრაძე,  
მხატვრული ბიზი,  
ნოდარ გურგენი,  
გურგენი თითქმის  
(პასუხისმგებელი მონაწილე)  
მხატვრული კინო,  
ნოდარ გურგენი,  
ზვიად თორთაქიანი,  
ნათია ურუშაძე,  
რეზა ჩხიშიძე,  
ანდრე ვულაქიანი,  
ნიკო ვახვაშაძე.  
თავადრი მონაწილე  
ნოდარ გურგენი



მემორიალური სვეტი სეპარაზელოს კ  
ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ.  
მხატვარი ვ. ონიანი, არქიტექტორი ვ. აბ-  
რამიშვილი



„მხატვრული შემოქმედების სამხრნობი აღმა-  
ფრენით აღინიშნა უკანასკნელი წლები. და ამ,  
რა თქმა უნდა, თავის რეულს ახრულებს საქარტი-  
ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის  
ნარმმართველი სამიანობა, რომელმაც კულტუ-  
რის მსტატამთან მუშაობაში სწორ ტონს მიამ-  
ცო, ახვარაბა მათ, ამტიურად უწყობს ხელს შა-  
ვიქმედების კიბაბას“.

ლ. ი. ბრეჟნევი

საბოროთა საქართველოს 60 წლისთავისადმი  
მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ  
შაბალური საბავოს სახეიშო სხლოვაჯა წარმოთ-  
მეული სიძაპილად.

# საქართველოს კულტურის დაწესებულებათა და ორგანიზაციების ამოხანები

ოთარ თაქთაქიშვილი

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

მოსკოვისკენ იყო მიმართული საბჭოთა ადამიანების, სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება, როცა კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობდა საბჭოთა კომუნისტების ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი — საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობა.

დღის წესრიგის მთავარ პუნქტზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ — ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ მსოფლიოში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. ეს გასაგებობა, რადგან ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურმა საბჭოთა ქვეყნის სახელით წარმოადგინა საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო პროგრამა, რითაც ჩვენი ხალხის და მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების სურვილი და იმედები გამოხატა.

„საბჭოთა ადამიანები, — აღნიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევა, საანგარიშო მოხსენებაში, — რწმენით შეპყრებენ ხვალისდელ დღეს, მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნუიერთა თავდაჯერება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომითაა შექმნილი, საკუთარი სისხლითაა მოპოვებული, ჩვენ, ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვენამს წრომის ძალა, იმიტომ, რომ გვენამს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი. ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვენამს ჩვენი პარტია. ვიცით, რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს, ერთადერთი სწორი გზაა!“.

საბჭოთა ადამიანების ოპტიმიზმი და რწმენა ხვალისდელი დღისადმი განმტკიცებულია ჩვენი პარტიის უსაზღვრო ერთგულებით ხალხის საქმისადმი. პარტიის დევიზი: „ყველაფერი საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის“. სიამაყის გრწნობით აღაფებებს ყველა ჩვენთაგანის გულს. ჩვენ მადლობას ვუთვლით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშვიდობისათვის ასეთი შედეგანი ბრძოლისათვის. მშვიდობა ხომ საყოველთაო პროგრესის საწინდარია, ხელოვნებისათვის კი — საარსებო წყარო.

„ხალხის ინტერესებით ცხოვრება — თქვა ამხ.



ლ. ი. ბრეჟნევმა XXVI ყრილობაზე, — მისი ჭირისა და ლხინის გაზიარება, ცხოვრებისეული სიმართლის ჩვენი ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრება, კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა — სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ხალხურობა, ჭეშმარიტი პარტიულობა“.

ღვინორე კულტურული პოლიტიკის ერთგული ჩვენი პარტია მოწინებთა და ხელისუფლების ეკიდება შემოქმედებით ინტელიგენციას, აძლევს მას გვეს მაღალი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ჩვენი თვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ინტელიგენციის კულტურისა და ხელოვნების დარგის მუშაკთა ღვაწლი საქართველოს მშრომელთა საერთო გამარჯვებაში დადებითად შეფასდა. თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXVII პარტიულ კონფერენციაზე სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ე. ა. შვედარდამ ასე დაახასიათა რესპუბლიკის ინტელიგენცია: „ყველაზე კეთილი, გულითადი სიტყვებით გვირად მივმართო ჩვენს სახელოვან სახალხო ინტელიგენციას, ჩვენს გმირ მუშათა კლასთან, ჩვენს შესანიშნავ კოლმურერე გლეხობასთან ერთად როგორც გვაშკობს და გვაამიდრებს იგი“. დიდ ეკაჟიფილებს აწვევს იმის შეგნება, რომ მეთუ ხუთწლიანი ჩვენთვის იყო არა მარტო რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების ხუთწლიანი არამედ აგრეთვე ჩვენი ხალხის სულიერი, ინტელექტუალური ზრდის ხუთწლიანი, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების, ჩვენი ეროვნული და, ამავე დროს, დრმად ინტერნაციონალური ხელოვნების საქრთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების ხუთწლიანი.

მართლაც, ბოლო დროს შეიქმნა მრავალი მნიშვნელოვანი მხატვრული ტილო, მუსიკალური ნაწარმოები, დაიდაგა სპექტაკლები, რომლებიც თავისი მხატვრული ღირსებით, იდეურებით, მიზანდასახულობით, მასების დამრზამველ ძალად მონაგვევლიან.

ამ პერიოდში საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა ჩვენი ქვეყნის მრავალი უმადლესი ჯილდო და ნობედა დაიხსახურეს, არაერთ მსოფლიო ფესტივალზე გამომარჯვდნენ ოსტატობა და ნიჭი, გამარჯვებით მოიარეს მთელი დედამიწა.

დიდად სასიხარულოა, რომ ამ წარმატებებში მონაწილეობს ხელოვნების თითქმის ყველა ფართი — თეატრი და მხატვრობა, კინო და ტელევიზორეგნება, მუსიკა და საშემსრულებლო ოსტატობა, კოლექტივები და ვირტუოზები, მომღერლები და ინსტრუმენტალისტები, კომპოზიტორები და დირიჟორები, მსახიობები და რეჟისორები.

საბჭოთა კავშირის ხუთი ახალი სახალხო არტისტი, ოთხი კანცლმწიფი პრემია — აი, ის უმადლესი შეფასება, რითაც აღინიშნა ამ პერიოდში ჩვენი მონაწილეობა.

დიდი მადლობა მშობლიურ პარტიას ესოდენ მაღალი შეფასებისათვის!

ყრილობის პერიოდი მოსკოვში. ყრემლში, ჩვენი ქვეყნის გულში, მიმდინარეობს

კომუნისტთა უდიდესი ფორუმი და ამ დროს ქართული მუსიკოსები იპყრობენ მოსკოვის საკონცერტო დარბაზებს.

სტეფიანის დარბაზში საბჭოთა კავშირის გამორჩენილ მოსკოვისტთა შორის გამოდის ცისანა ტატიშვილი, კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს მართავს საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღი კახიძე, რომელიც წარმატებით ასრულებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას, იქვე გამოდის სსრკ სახალხო არტისტი ოდისე იმშირელიანი და ზურაბ სოტკილავა, საქართველოს სახალხო არტისტი. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მარინე მდივანი ბრწყინვალედ ასრულებს რახმანიოვის საფორტპიანო კონცერტს, დაბოლოს, ეს თავისებური მუსიკალური დეკადა თავდება ახალი ქართული ოპერის პრემიერი.

დამიწმუნეთ, რუსეთის ფედერაციის გარდა, ამ პერიოდში ყველა სხვა რესპუბლიკა ამაზე ბევრად მცირე პროგრამით გამოიდა.

ეს ქართული მუსიკისა და მუსიკოს-შემსრულებელთა დიდი აღიარება და გამარჯვება იყო, ამას წინათ მოსკოვში გამართული რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე გასტროლების ღირსული გაგრძელება. თანაც ისეთი განმდიობული მნიშვნელობის მოვლენის დროს, როგორცაა სკკპ XXVI ყრილობა.

ამავე დღეებში, მანეთის შენობაში ყრილობისამდე საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითი პლაკატი, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ქართველმა მხატვრებმა რომელთა ხელოვნება ადბეჭდილია მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობით.

მოსკოვის კინოთეატრებში აჩვენებდნენ რეჟა ნაიძის ფილმს „მშობლიური ჩემო მიწა“, რომელმაც მათურბელთა დიდი მონაწილე დაიხსახურა. ყველაფერ ამას ემატება სსრკ დიდ თეატრში მავკადა ქასანაშვილისა და ზურაბ სოტკილავას გამოსვლები, ყრილობის პერიოდში მოსკოვში სსრკ სახალხო არტისტების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამახსოვრებული ინსამბლის კონცერტები და ჩვენს წინაშე სრულად ინსატება ქართული ხელოვნების გამარჯვებები, რომლებიც ეხმანებნიან ჩვენი რესპუბლიკის წინსვლას, უკანასკნელი წლების შთამბეჭდავდ წარმატებებს. მაგარც XXVI ყრილობამ ახალი ეტაპი უნდა განაპირობოს ჩვენს ამაველობაში.

ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები დრმადა, საფუძვლიანად ეცნობიან და სწავლობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას და არა მარტო ყოველმხრივ იაზრებენ ყრილობის მასალებს, არამედ უკვე ფართოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იღებენ ახალ, გარნიდილ ვალდებულებებს. ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რათა ღირსეული შრომითი საწყურებით შევგებებოდი საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლისთავს. ამიტომაც, სრულიად კანონმდობიერა, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი — ამ იუბილის შეხვედრა იყო. საამისოდ ბევრი რამ გა-



კეტა — შეიქმნა და წარმატებით განხორციელდა ზემოთხსენებული სტრატეგია, საზოგადოებრივი კონცერტის პროგრამა; მანამდე კი ჩატარდა 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა და შემოქმედებითი კავშირების პლენუმები, წარმატებით დაგვირგვინდა მრავალი ახალი ნაშრომები.

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტობრივად, რომ საქართველოს ძვირფასმა სტუმარმა ლეონიდ ილიას ძემ ბრეჟნევმა ფრიად მალალი შეფასება მისცა ქართული კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს, კერძოდვე აღნიშნა საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის რძლი რესპუბლიკის სულიერი ცხოვრების მძლავრ აღმავლობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზემოთხსენ. ო. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოიღივებოდა სიკრძალოანი, სიღრმის იყო წარმოდგენილი ის გამარჯვებანი, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა სამოქმედო წლის თავდადებული შრომის, ბრძოლის შედეგად, აგრეთვე ის ამოცანები, რომლებიც ჩვენგან შეიქმნებოდა დასრულებული თხოვლობენ.

რესპუბლიკის ყოველი მშრომელის გულს სიხარულით ახვს ჩვენი პარტიის ლიდერის ასეთი მალალი შეფასება.

მაგრამ ჩვენ XXVI ყრილობის შუქზე კიდევ ერთხელ კრიტიკულად, მთელი პრინციპულობით უნდა შევხედოთ ჩვენი კულტურის დღევანდელ მდგომარეობას. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული წარმატებებისა, საქართველოს კულტურის დარგის ინსტიტუტების თანამედროვე მდგომარეობა უკიდურესად ეკლექტიურია. ერთის მხრივ — ცალკეული შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინსტიტუტების ფარგლებს გარეშე აღიარებული მიღწევები, ხოლო, მეორეს მხრივ, (და ხშირად) ნახევრად ვარდელი დარბაზები, ბრწყინვალე წარმატებები თბილისში, მოსკოვსა და საზღვარგარეთ და, ამავე დროს მოწყვეტა მშობლიური რესპუბლიკის მომსახურების საქმისაგან, თითქოს ეს მხოლოდ რიგითი მუშაკების მოვალეობა იყოს.

ერთის მხრივ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, რომლის ექსპოზიციას ელოდებიან შვეიცარიის, ავსტრიის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის, მეორეს მხრივ კი სარაიონო მუზეუმების პროვინციული, უღანბნოსავით მოწაყენი ექსპოზიციები (მაგ. საგარეჯოს, ცაგერის, ყაზბეგის მხარეთა კონსერვაციის მუზეუმები), ბრწყინვალედ მომუშავე თეატრები (მაგ. რუსთაველის) და მწირ-ობოლი სარაიონთაშორის თეატრები (ცხინვალში, ფოთში, ნიჭიერებით და ოსტატობით აღეჭრვილი ხალხური გუნდები, რომელთა მუშაობა სტაბილურია (მაგ. თერჯოლის, ჭიათურის, საგარეჯოს, კასპის, მახარაძის, გორის, ტყიბულის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები), და საგანგებოდ შეკონსერვებული, საოლიმპიადო გუნდები (მაგ. მცხეთა). იგივე ითქმის მატერიალურ-ტექნიკურ პაზაზე. ზოგი შენობა ყოველდღიური მოვლა-პატრონობით სახეიამოდ მომლიმარია (მაგ. წითელ წყაროს რაიონის გამარჯვების სარაიონი, სამტრედიის კულტურის სახ-

ლები), ზოგი კი გაპარტახებული, ჩაობრუნებული მუშაობა.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მითითებებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის სამინისტრო თავის უშორავლ ამოცანად მიიჩნევს მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ხალხში ხელოვნების გავრცელებას, სოფლის და მალაქითაინ რაიონების მშრომლების კულტურული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, კულტურის საერთო დონის სტაბილურობაზე ზრუნვას.

წინააღმდეგობა იყავს ისე, თითქოს, ამ ამოცანების განხორციელება მუშაობას საქართველოს კულტურის სამინისტრო ახლა იწყებდეს. უკანასკნელ პერიოდში თელავსა და ჩვენი მიღწევები ამ მიმართულებით. ამაზე მეტყველებს მხატვრული თვითმოქმედების უკანასკნელი ოლიმპიადების აღმავალი დონე და მასობრივად, ამაზე მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მიერ სოფლის კულტურული მომსახურების ერთგვარი გაუმჯობესება, სპეციალისტთა ჯგუფების სამუშაოდ ნასამადა რესპუბლიკის რაიონებში, ფოლკლორის განმარტებული ფართო მასშტაბით, რასაც სათავეში ჩაუდგინეს ისეთი ნიჭიერი ენთუზიასტები, როგორებიც არიან ვახუშტი კოტეტიშვილი, ანზორ ერქობაშვილი და სხვები. ამაზე მეტყველებს კულტურის სამინისტროს მიერ დამყარებული კონტაქტები რესპუბლიკის რეგიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, თელავსა და ფოთში, ცხაკაიამ, გორსა და ვალში, აგრეთვე სხვა ქალაქებში შექმნილი კულტურის ახალი კომპლექსები, კულტურული ცხოვრების აყვავების შესაძლებლობები რომ ქმნიან. ჩვენი რესპუბლიკის რეგენ ამბობენ, რომ „საქართველოში ხელოვნების განვითარება“-თ. ჩვენ კი მიგვანჩია, რომ სანამ კლასიკური მუსიკის კარგად მომზადებული კონცერტებზე დარბაზები ნახევრადვარდელია, სანამ მოსახლეობის იაყვებულ ნაწილი მისდაუნებურად ემყოფილდება გაფრთხილი დაბალი მხატვრული ღირებულების სპექტაკლებითა და კონცერტებით, სანამ მრავად გავგანჩია დაბალი ხარისხის სამუზეუმო ექსპოზიციები, სუსტად მომუშავე კლუბები, ჩვენ არა გვაქვს უფლება თავი მოვიწონოთ ჩვენი ხელოვნებით.

შეგანგებულ თუნდაც ხალხური თვითმოქმედების უკანასკნელ ოლიმპიადებ. ოლიმპიადის დასკვნის ტურში მონაწილეობდა 12 ათასამდე ხელოვნების მოყვარული, რაც დიდ მასობრივად მეტყველებს (სულ ოლიმპიადის დამდეგ ტურში მონაწილეობდა 80 ათასამდე კაცი). ეს წინა წლებთან შედარებით დიდი ზრდაა. ოლიმპიადამ კოლექტივების დონის საოცარი ამოღება გვიჩვენა. მუსიკალური თვითმოქმედების ბოლო ტურში კი გამოვიდნენ ისეთი ნიჭიერი და მომზადებული კოლექტივები, რომ რესპუბლიკის წი წლისთავის საზოგადო დღეებისათვის გაემართეთ ფოლკლორული კონცერტი, რომელიც ხალხური ხელოვნების დღესასწაულად იქცა. ეს ადვილად მისაწინევი როდი იყო. ამას წინ უძღოდა მრავალმხრივი მუშაობა. სოფლად ჩავიდნენ საგუნდო და ქორეო-



განყოფილი ხელოვნების მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტები, როდენ სასიამოვნო იყო, როდესაც ნიჭიერი კოლექტივების ხელმძღვანელთა დროში ცხედავით გვი მიხატეს, მამია ბაქრაძეს, თემურ ქვენიშვილს, ალა მარჯიშვილს, მიხეილ მცურავიშვილს, მიხეილ და პამელა კობეშვიძეებს. თენგიზ სუხიშვილს, გიორგი სალუქვაძეს, შოთა ალთუსაშვილს, ლეო ფაჩუაშვილს და სხვებს. ეს მიხატაღმებელია, რადგან ხალხური ხელოვნება მთელი თავისი ნიჭიერებით გლინდება პროფესიონალის ხელში. ასეთ შემთხვევაში შესანიხარული მიდის რეპეტიციზე, ნატიფია ხალხურება.

სასინარულოა, რომ ეს ოლიმპიადა მკვეთრად განსხვავდება წინა ოლიმპიადისაგან არა მარტო მასობრიობით, არამედ ფანტორივად. ეს იყო ფოლკლორული ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმი, რომელშიც ბროლია გამოუცხადებელი დაბალი დონის საესტრადო პრადუქციით, გზა მისცა ხალხის ნიაღში შენახული ხალხი ნიჭის გაბრწყინებას.

მაგრამ განა ცოტაა ისეთი კოლექტივი, რომელიც სახელდახელოდ, საოლიმპიადად იქმნება და მისი დამთავრებისთანავე უცვალოდ ქრება? ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვჭირდება ქორეოგრაფიის დარგში, ხელოვნების მივანელებული ფანჯრის აღდგენის სახით. განა დასაშვებია, რომ მიღლიონინ თბილისში სადაც ამდენი უმაღლესი სასწავლებელია, არ მუშაობდეს არცერთი მოყვარულთა სიმფონიური ორკესტრი ან კამერული ანსამბლი? როგორ იყენებთ თავის ცოდნას ის ათასობით ადამიანი, რომლებსაც პროფესიული მოზადება აქვთ და ახლა სხვა სპეციალობას მიჰყვებიან: აქეთ თუ არა მთა მორალური უფლება სულ მიატყვონ ხელოვნება? ნუთუ ასე ქრება მუსიკისაღმი სიყვარული? ასეთი „უცარილობა“ დიდ გაკვირვებას გამოიწვევდა, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სადაც ამ ტიპის მოყვარულები შეადგენენ მყარად მომუშავე თვითმომქმედი კოლექტივის ნამყარ ზიარჯს. ეს კოლექტივები ოპერებსაც კი დგამენ! თქვენ იტყვი, რომ ჩვენში ეს შეუძლებელია? მაშინ გაიხსენეთ გორის საოპერო სტუდია და თბილისში გამართული თანხ სპექტაკლები.

სუსტად იჭრება ცხოვრებაში მისამჯიროვე კომპოზიტორების შემოქმედება. ის ნაბიჯები, რომელიც ამ მხრივ კომპოზიტორთა ძველი თაობის მიერ გადაიდგა, ახალ დონეზე საჭიროებს გაგრძელებას. ამაზე უნდა იფიქროს საქართველოს კულტურის სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებამ, კომპოზიტორთა კავშირმა, ჩვენმა მეთოდურმა ცენტრმა.

ხალხური თვითშემოქმედების დათვლიერების დღეებში შევიძინებ ჩვენს ხალხს თეატრები, კინომოყვარულები, თვითნასწავლი მხატვრები. რა გვაჩენა ხალხური თეატრალური ხელოვნების დათვლიერებამ? ოლიმპიადებზე წარსდება 45 სახალხო თეატრი. ცხადზე უცხადესი გახდა, რომ თანამედროვე თეატრის ნამყარია რესპუბლიკის სახალხო თეატრების რეპერტუარში და ახლისაქენ წინაფხვის ეს პროცესი სხვაენისთვისაც მისაბამი უნდა იყოს.

მაგრამ აქ გამოიკვეთა ჩვენი მეორე ნაკლი: თანა-

მედროვე პიესების მოთხოვნა დიდად სჭარბობს ჩვენს მიერ მიწოდებულ მასალას. კულტსაგანანანდღმდრო დაწესებულებების სამმართველოსთან ახლახან შექმნილი სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია დიდი და სერიოზული ამოცანის წინაშე დგას — დააპრობოს სახალხო თეატრი, ასაზრდოოს იგი საკადრისი ქმნილებებით. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო თეატრების დათვლიერებამ ბერი სასიკეთო შედეგი დაგვანახა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სიახრებით აღვნიშნავთ სამტრედიის, ჩოხატაურის, ბორჯომის, იმის, ზესტაფონის, ცხაქაიას, ცაცკარის სახალხო თეატრების წარმართებას, ოლიმპიადამ მკვეთრად გამოავლინა ჩვენი ნაკლოვანებები ამ დარგში. ყველაზე ნათლად კი გამოიკვეთა პროფესიონალი ხელმძღვანელის, კონსულტანტის ნაკლებობა. სად დეიარვა ის პრაქტიკა, როცა ცნობილი მსახიობი, რეჟისორი სახალხო თეატრების ცხოვრებით ცხოვრობდა — ხელმძღვანელობდა დადგმას, ანახიერებდა ამა თუ იმ როლს. ამ რამდენიმე წლის წინ ცხაქაიას სახალხო თეატრში აღ. ჩხაიძის „შაიშოვკლებიში“ მონაწილეობა მიიღო ვ. ანჯაფარიძემ, მ. მგალობლიშვილმა, ზ. ბერიკაშვილმა, სამტრედიის სახალხო თეატრის სპექტაკლში „როცა ქალაქი სძინავს“ — ვახტანგ ნინუამ, ღუშთის თეატრში ნ. ღუშბაძის „თეთრ ბიარებაში“ გამოვიდა ბ. ზნუფურია, კარგი ნაყოფი გამოიღო რეჟისორ ნუგზარ გაჩავას შრომამ ღუშთის სახალხო თეატრში. მაშ, რატომ არ მიიდან ჩვენი ნამყარი მსახიობები, რეჟისორები ხალხთან? რატომ არ შეიძლება ავამოქმედოთ თუნდაც ის მსახიობები, რომლებიც თავის თეატრებში დატვირთვის ნორმებს ვერ ასრულებენ? უეჭველად მეტი კოორდინაცია საჭირო პროფესიულ და სახალხო თეატრებს შორის. საქართველოს კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილებამ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ ეს ნაკლოვანებები.

ოლიმპიადებზე წარმოდგენილი იყო ხალხური მხატვრობა: ნამდვილად გამოცნეს თვითნასწავლი მხატვრების შემოქმედება, მით უფრო არ გვაძლევს დამწვიდების უფლება გათიშვა. რომელსაც ადვილი აქვს ხელოვნებასა და ყოველდღიურ ყოფას შორის.

გვახარებს, რომ უკანასკნელ ხანს მოგვეცა სახიფათო ხელოვნების პროპაგანდის უდიდესი საშუალებები, მოსფლიომ აღიარა ფირსიანა, ლადო გულიაშვილი, აღიარებულა ქართული ქანდაკება, ჭედურობა, კერამიკა, დემოკრატიული ხელოვნება. ი. ოჩიაურის შემოქმედებამ ზიდი მისცა ჭედური ხელოვნების აღმავლობას მიუღს საჭიროთა კავშირში. მაგრამ რამდენად აისახა ხელოვნების ეს მაღალი დონე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? იქ, სადაც ხელოვნება ცხოვრებას შეხება, მივიღეთ სამაგალითო შედეგი. ეს ყველაზე ნათლად ახლადდაფურცებულ თბილის-ქალაქობაში გამოიკვეთა. მაგრამ განა ჩვენი ყოფიერი ნივთები, ინტერიერები, დღევანდელი წარმოება იმ დონეზეა, რა დონეზეც ჩვენი ხელოვნება დგას? განა ის, რაც გვხვდება სამხატვრო გალერეებში, სხვადასხვა გამოფენაზე, თუნდაც აკადემიის სტუდენტთა



სადილომო ნამუშევრების სახით, ცხოვრებაში არ უნდა აირეკლოს? საქართველოს თვითნასწავლი მხატვრების შემოქმედება სწორედ ამ შეუსაბამოაზზე მტყვევლებს. კულტურული კომპლექსების შექმნა, სურათების გაღრმავების გახსნა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, სამხატვრო-გამფორმებელი სახელოსნოების რიცხობრივი ზრდა, მხატვრების შტატის გათვალისწინება, წარმოება-დენსებულელებში უმნიშვნელო საქმე როდია. მას რატომ არის რომ რაიონების კლებიდან უკიბოთებანტი უმეტეს შემთხვევაში უზადრეკ სახეს ახატარებენ, განსაკუთრებით კი მუხუშუმები, სადაც ხშირად უძვირფასესი ექსპონატი ისეა გამოფენილი, რომ არასპეცილისტი მხსველი ვერც კი შეინიშნავს მას.

ხშირად რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დანებულელებში აღმუშოებამდე მიყვავალი თვალსაჩინო აგიტაციის დონეს. ლოზუნგისა და პლაკატის, კადრის გაზოთისა და სტენდის დანიშნულება მართკ პარტიის პოლიტიკის გატარებით, ხალხის მასებამდე გარკვეული ცნობების დაყვანილი როდი უნდა ამოწეროთ. ამას პრესაც კარგად აკუთხებს. უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურის კერაში გამოყენებული მუშაობის ყველა ფორმა, მისი ყოველი ატრიბუტი მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის უპტილშობილეს მიზანს უნდა მოემსახუროს. ფაქტიურად რა ხდება? ბოლითოეგებობის, კულტურის სახელმის მხატვართა შტატში იშვიათად შეხედებით პროფესიონალს, ხოლო სამხატვრო-გამფორმებელი სახელოსნოების მუშაობაში გამოუღენილმა სერიოზულმა ნაკლოვებებმა გვაიძულო ვაქციოთ ყოველივე ეს უახლოესი კოლეგიის სპეციალური მსჯელობის საგნად. მთელი გასული, 1980 წლის მანძილზე საჩხერის, საფრინკიძის, ჭიათურის, მახარაძის, ლანჩხუთის, ორჯონიძის რაიონებში არსებულ ასეთ სახელოსნოებს არავითარი თვალსაჩინო მასალა არ დაუშადადებით კულტურულ-საგანმანათლებლო დანებულელებისათვის. საქმე ისაა, რომ სამხატვრო-გამფორმებელი სახელოსნოები დაკომპლექტებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებით, რაც ბუნებრივია, გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ორჯონიძის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკთან შექმნილ სახელოსნოში, რომელიც დაკომპლექტებულია 10 მხატვრის საშტატო ერთეულით, მხოლოდ ერთია უმაღლესი განათლებით, დანარჩენი ცხრა სუსტი, თვითნასწავლი მხატვარია, ჭიათურის სამხატვრო სახელოსნოს 12 საშტატო ერთეულიდან კი მხოლოდ ოთხია უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მუშაკი, ხოლო საჩხერეში მომუშავე ოთხი მხატვრიანად, მხოლოდ ორს აქვს დამთავრებული ნიკოპაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი. კადრების ასეთი შერჩევა, სამხატვრო სახელოსნოებისადმი კულტურის განყოფილებების ასეთი „ყურადღება“ ზოგ შემთხვევაში სერიოზული დარღვევების საფუძველი ხდება. რასაც დანაშაულამდე მიყვავართ.

დანაშაულის გარდა სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ სამხატვრო-გამფორმებელი სახელოსნოს თანხები, ისედაც მკაცრად განსაზღვრული ფონდი-

რებული მასალა, სხვა მიმართულებით იხარჯება, ზოგჯერ სხვა ობიექტს ხმარდება, მაშინ საკუთარი საქმე გაუყვებელი რჩება.

ბოლო წლებში შექმნილი მონუმენტური ქანდაკების შესანიშნავი კმნილებანი დიდ სამსახურს უწევენ მოსახლეობის ესთეტიკური აღზრდის საქმეს: რესპუბლიკა დამშვენდა ვ. ი. ლენინის, საბჭოთა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ქანდაკებით. აგებული გვაქვს და მუშაობის პროცესშია წმინდა ეროვნული ძეგლები: „დედაენა“, ფარნავაზის ძეგლი, სკულპტურული კომპოზიცია „ჭიაკონა“, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები. გაიფორჩქნა მოქანდაკეთა ახალი თაობის შემოქმედება, ქართველი ხალხი მადლობას უძღენის მ. ბერძენიშვილსა და ე. ამაშუკელს. მას ახარებს მერაბიშვილების, შვავცაბაიას, ციბაძის, მიქაბაძის, ავარიშვილის, ნიკოლაძის და სხვათა შემოქმედება. მაგრამ, სამუხაროდ, ძეგლების აგების საქმე მტკისმტკად ტანაურდება იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არსებული საწარმოო ბაზა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას, საქართველოს სამხატვრო ფონდის ლილოს ქანდაკების კომპინატში დღემდე არ არის მდგომარეობა მოწესრიგებული. ასე სადამდე უნდა გაგრძელდეს? განა გვაქვს უფლება შევაჩეროთ ეს პროცესი?

ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი. ის, რასაც ფლარამონიული და სხვა საკონცერტო კოლექტივები აკუთხებენ ქალაქებისა და რაიონებისათვის, არა თუ ვერ პასუხობს, მინიმალურადც ვერ აკმაყოფილებს პარტიის XXVI ყრისლაშის მოთხოვრებს, მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების დღევანდელ ამოცანას. შევიხედოთ საკურორტო ზონებში, საკავშირო მნიშვნელობის კურორტებში. განა საოცარი არ არის, რომ ბორჯომში, წყალტუბოსა და ნაწილობრივ გაგრაშიც სადაც თავს იყრის მოწინავე საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი, თეატრალური და მუსიკალური ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია. ბორჯომი წარმოუდგენელია სიმფონიური კონცერტების გარეშეც, მაშინ, როცა კისლოვოდსკი, სოჭი და ძინტარი დიდი მუსიკალური კოლექტივების აპარებზად არის ქვეყნი. მახსოვს, ბავშვობაში, სწორედ ბორჯომში ვესმენდი ზაქარია ფალიაშვილისა და დიმიტრი არაყიშვილის მუსიკას, ვეცნობოდი ჩვენს სასიკაძლოდ მომღერლებს, ტერცე — მუსიკალური პრემიერების ნაწყვეტები პირველად, რეკლამისათვის სწორედ ბორჯომში სრულდებოდა. სად დაიკარგა ეს პრაქტიკა? მას შემდეგ ბორჯომი ხომ კიდევ უფრო გაიზარდა და დამშვენდა. გაშუნდა და კეთილმოეწყო ლიკანიც. ეს შესანიშნავი ტრადიციები კი დაიკარგა. თუ ჩვენ მართლაც გინდა ჩვენი ხელოვნების პროზაგანდა, მაქ საკურორტო ზონებს რატომ იფინყენ მუსიკალურ-კოლექტივები? ნაცვლად ამისა სანატორიუმებში, როგორც წესი, კულტმასობრივი მუშაობა ერთი კულტმუშაკის მიერ შედგენილი მდარე, უფინარხო პროგრამით ამოიწურება. ჩვენ ეს საკითხები არაერთოგზის დავაყენებია; ერთობლივი მუშაობა არა-





ერთვის შეგვიავაზებია ადგილობრივი და რესპუბლიკური საკურორტო სამმართველოებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. არადა ვა კარგად, რაოდენ რაციონალურად შეიძლება სანატორიუმების კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ხარჯების გამოყენება. ერთხელ ცვადათ და ავიღეთ კიდევ ინიციატივა ჩვენი ხელში — დავამუშავებ ბორჯომის მომსახურების სასუნებათაშორის გვემა, რამაც შესაძლებელი შედეგი მოგვცა. გვეჯონა, რომ სათანადო ორგანიზაციები აიტაცებდნენ ამ გამოცდილებას, მაგრამ ეს ავიციმბა.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრომაც სრულად ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობანი, ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა. იქ, სადაც მოვიწოდებთ, საქმეს თავი დავადგით კიდევ; მაგალითად, მოვიწოდებთ და ბევრი დამ კარგის გაკეთება შევეფიქთ ბიჭვინთაში, სადაც უკვე დაწყებულა საორგანიზაციო მუსიკის კონცერტების ციკლები, „ბიჭვინთის საღამოები“, ფოლკლორული კონცერტები და მრავალი სხვა. მოვიწოდებთ და მყისვე ვიგონებთ კიდევ მთავრობის დახმარება როგორც რესპუბლიკის, ისე კავშირის მასშტაბით.

ბორჯომში, წყალტუბოში, ვაგრასა და ბათუმში საქმე ვერჯერობით ცუდად არის დაყენებული, დაუწყებელი საჭიროა შევლა, რაშიც თავისი გადამწყვეტი სიტუაცია უნდა თქვან ადგილობრივმა პარტიულმა და საზოგადოებრივმა, მეტი მონდობა უნდა გამოიჩინოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებამ, რომელიც ამ საკითხს დღემდე არ ხელმძღვანელობდა.

ერთი სიტყვით, შევისწავლეთ და კოლეგიაზე განვიხილეთ ბორჯომის, წყალტუბოსა და ვაგრის ზონებში დამსვენებელთა კულტურული მომსახურების მდგომარეობა და შედეგებით ძალზე უკმაყოფილონი დავრჩით. დაბრკოლებების წინაშე გვაყენებს კულტურის კერების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკიდურესი სისუსტე, მდგომარეობიდან გამომავალ ვხედვად მხოლოდ კურორტების მართვის ორგანიზება შეთანხმებულ მუშაობაშიც, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. საქართველო საშტოთა კავშირის ყველა კუბისში მცხოვრებ მოქალაქეთა დასვენების ადგილია. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ მდგომარეობით და ინტენსიურად, გონივრულად ვანარმოთ ჩვენი კულტურის პროპაგანდა, გავაცნოთ მათ ჩვენი ხელოვნების შესანიშნავი მონაპოვრები.

საქართველოს კულტურის სამინისტროს აპარატისა და კოლეგიის მუშაობის ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ვერ დავამყარეთ საჭირო კონტაქტი, ვერ ვანარმოეთ სათანადო კოორდინაცია კულტსაგანმანათლებლო და სხვა სამმართველოებს შორის. ყველა სამმართველოს აქვს საინტერესო მიღწევები, მაგრამ ყველაფერი ეს თავს უნდა იყრიდეს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელში. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ერთმანეთისთვის ბევრი რამ გვაქვს გასაზიარებელი, მაგრამ საკუთარ სიმდიდრეს ცხრა-კლასტულის მიღმა ვინახავთ.

პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე ამ ნაკლის გადალახვა შეუძლებელია მნიშვნელოვანი საზრუნავია კულტურის სამინისტროს მუშაობა და კოლეგიისათვის. ცხოვრება მოითხოვს, რომ კულტურის ყოველი ცენტრი — ქალაქსა და სოფლად, შემოქმედებითი ცხოვრების შემოქმედთა თავშეყრის ადგილად იქცეს.

გვაქვს თუ არა ჩვენ ამის პირობები? რასაკვირველია გვაქვს. რესპუბლიკაში პოპულარობით სარგებლობენ მახარბის, სამტრედიის, ზესტაფონის, ონის ლაგოების სარიონო კულტურის სახელები. წყალტუბოს რაიონის მალაკის, ლანჩხუთის რაიონის აცანას, მიაკოპესის რაიონის რაიონის, ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის და სხვა რაიონების კულტურის სახელები. ბოლო პერიოდში ბევრმა, ადრე ჩამორჩენილმა კლუბმა გამოასწრა მუშაობა და მოინაწივეთ რიგებში ჩადა. ამ მხრივ, უპირატესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ვარდაბნის სარაიონო კულტურის სახლი. ეს მით უფრო სასიამოვნო ფაქტია, რომ ვარდაბნის ინტენსივობა კულტურის რაიონი და მისი კულტურის სახლი დღეს სახალხა მეგობრობის კერად გვევლინება. ბევრია დამოკიდებული კლუბის ხელმძღვანელზე. მინდა მადლიერების გრძნობით დავასახელო ვიტალი გოდერძიშვილი (ვარდაბანი), ვახტანგ თანდაშვილი (ლაგოები), ლევან გერსამია (ვანი) ალექსანდრე გოგატიშვილი (მახარბი) და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობის მუშაობა კვლავ უფერულ ხასიათს ატარებს. ასეთ დაწესებულებათა შორისა ჩხოროწყუს სარაიონო კულტურის სახლი, რომელიც რაიონის საკლუბო მუშაობის მეთოდურ ცენტრად უნდა იქცეს. ეს ის ხშირი შემთხვევაა, როდესაც მეთაური კლუბის სუსტი მუშაობა აფერხებს მთელ რაიონის კულტსაგანმანათლებლო კერების მუშაობას.

როგორც ცნობილია, საკლუბო დაწესებულებებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდური სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დიდი მისია აკისრია — ადგილებზე გაუწიოს პრაქტიკული დახმარება თითოეულ დაწესებულებას. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მისიას იგი ვერჯერობით ვერ ერევა. საკლუბო მუშაობაში ნელი ტყეშელაშვილი ახალი მონაწილე ფორმები და მეთოდები. მონაწილე დაწესებულებების გამოცდილების განზოგადებისა და ნახალხებისათვის თითქმის არაფერი კეთდება. ადგილებზე ნაკლებად მინის კარგი მეთოდური ნინადადებები, რომელთა განხორციელება, ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობდა რესპუბლიკაში ამ დარგის შემდგომ განვითარებას.

საგარეოლად გაუმჯობესდა ბიბლიოთეკების დახმარება წარმოებისადმი. აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობენ რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა (რომელიც ბიბლიოთეკების მკობრდინებით ცენტრია, მისი ხელმძღვანელობით მკობრდინებით მომსახურების გაუმჯობესება).



ბესიკის და კითხვის მასობრიობისათვის ზრუნვას ახალი მიმართულებები მიეცა, დაინერგა ბიბლიოგრაფიული მომსახურების კომპლექსური ფორმები, ქუთაისის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიბლიოთეკები და მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

სასაკითხო ძეგლები გარკვეულად განპირობებულია საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციით, რომლის ორგანიზაცია მათე ხუთწლედის ბოლოსათვის დამთავრდა. დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 80 ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა. საბიბლიოთეკო მუშაობის უმაღლესი პროცესების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თავმოყრამ, ბიბლიოთეკებისადმი ერთიანმა ადმინისტრაციულმა და მეთოდურმა ხელმძღვანელობამ, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გააქტიურებამ, საგრძნობლად გააუმჯობესა მკითხველთა მომსახურება და დადებითად იმოქმედა საბიბლიოთეკო მუშაობის ძირითად მაჩვენებლებზე.

მათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მშრომელთა ზეგარეო აღზრდას, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილება „მაგნე ტრადიციებისა და ნესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. რიგ ზონებში დანერგოლია მაგნე ტრადიციებისა და ნესჩვეულებების საპირისპირო ახალი მასობრივი დღესასწაულები, ასეთებია: „ჩაის დღესასწაული“ (თბილისი, მახარაძე, ზუგდიდი), „ვაზის დღესასწაული“ (გურჯაანი, თელავი, საგარეჯო), „მწყემსის დღე“ (თიანეთი), „შრომის დღესასწაული“, „მცხეთიობა“, ფართო რეზონანსი ჰპოვა სახალხო დღესასწაულებმა „შოთაობამ“, „ილიაობამ“, „იკობაობამ“, „ვანობამ“, „გოგლაობამ“ და სხვა. საყურადღებოა იყალიბდის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის გამოცდებება, რომელსაც მალალი შეფასება მისცა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი ნესჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკურმა კომისიამ.

რამდენიმე წლის წინ დაარსდა დავით გარეჯის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომელმაც უკვე აღიკვეთა პოპულარობა მოიპოვა. მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, რამაც უდაბნოს სახე უცვალა.

მაგრამ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურის უნივერსიტეტების დიდი როლის მიუხედავად, კულტურის განყოფილებები ხშირად გულგრილობას იჩენენ მათი ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის. რესპუბლიკის 13 რაიონში: აშანძა, ბოგდანოვკა, დმანისი, მაკრეული, ბოლნისი, მესტია, ლენტეხი, ახმეტა, გორი და ა. შ. დღემდე არ მოქმედებს არცერთი კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

\*\*\*

კულტურის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიზანმიმართული და ნაყოფიერი მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა მალაქვა-

ლიფიციური, იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით საფუძვლიანად მომზადებული კადრების გარეშე ცხადია, კარგი სპეციალისტი თავის საყვარელ საქმეს უნდა აკეთებდეს და მხოლოდ ამასაა მისი ბედნიერება და ცხოვრების მიზანი.

მაგრამ ჩვენს სისტემაში კადრების მომზადებასა და გამოყენებას შორის გარკვეული დისპროპორცია, რაც ხშირად მიმიდ დაღს ასვამს ახალგაზრდა სპეციალისტების ფსიქიკას.

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შემდეგ სამინისტრომ ენერჯული მუშაობა ჩაატარა კადრების დასაქმების დარგში. კადრების მომზადებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი თითქმის მოგვარებულია საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. თეატრალურ-სამსახიობო, საერყისორო, თეატრ-მცოდნეობისა და ა. შ. ფაკულტეტებზე, მიღებისა და დაგეგმვის გონივრული სისტემა — კადრების მიზნობრივი მომზადება რესპუბლიკის ამა თუ იმ თეატრის საჭიროების გათვალისწინებით — დღედა უწყობს ხელს ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. წლების მანძილზე თეატრალურმა ინსტიტუტმა მოამზადა სპეციალური ჯგუფები არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების შესახებ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების თეატრებისათვისაც. გარდა ამისა, თეატრალურ ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მიიღეს ჯგუფები რამდენიმე სპეციალობით, საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტისათვის.

თეატრალურ ინსტიტუტში, კინოსა და თეატრის სპეციალობების გარდა, ოთხი წელია წარმოებს კადრების მომზადება ჩვენი რაიონების კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული კულტურის განყოფილებებისა და მათი პირველი გამოშვებაა. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევხსენოთ რაიონული კულტურის განყოფილებებს, რომ ისინი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოექცნენ იმ ფაკულტეტის პირველ კურსდამთავრებულებს, მათ მიერვე წარგზავნილი ახალგაზრდების სამუშაოზე განაწილების საქმეს. ეს გსება, პირველ რიგში, ადგილის, წითელწყაროს, ქარელის, ლანჩხუთის, ყიათურის, ქუთაისისა და ბათუმის კულტურის განყოფილებებს. ეს მნიშვნელოვანი კონტაქტია ჩვენი კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული კულტურის განყოფილებისა და მათი პირველი კურსდამთავრებულებისა — აქამდე უშედეგო განსათლების მქონე იმ დროის სპეციალისტი მთელს რესპუბლიკაში არ ათეულამდე იყო, ახლა ასეთი კადრები მოვიპოვებდით, ისინი უნდა დაეხმებოდნენ რაიონულ საკულტურო დაწესებულებებში. სწორედ მათ უნდა დაენერგონ მუშაობის ახალი და უფრო საინტერესო ფორმები.

კადრების მომზადებასა და განაწილებას შორის ბალანსის დასამყარებლად სამინისტრომ დააწესა ზოგ სპეციალობებზე მცოცავი გრაფიკით მიღება. შემოვიკრა კონტინენტურ სახალხო მეურნეობისათვის ნაკლებად საჭირო სპეციალობებზე და გავზარდა დღეიციტურ დარგებზე. ამ სპეციალობების საშუალო



რგოლში დანერგვისათვის ხანგრძლივი მუშაობა დაგეგვირდა. საერთოდ, კადრების მომზადების სისტემაში კარგი წამოწყება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა საყოველთაოებისათვის სასარგებლო შედეგს, ამიტომაც უყვალა რეორგანიზაციის სჭირდებოდა დრო და მოთმინება. ძირითადად, დამთავრებულია ზოგიერთი სპეციალობის საღამოს დასწრეებისა და დაუსწრებელი სწავლებისათან დაკავშირებული რეორგანიზაცია. ეს მიმე პროცესი იყო, ვინაიდან პედაგოგების გადაჯგუფების და შემცირების მოთხოვნა. ცნობილია, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკების ნაკლებობას განიცდის მთელი რიგი, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს რაიონების სკოლები, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტების გაგზავნა თბილისიდან შორს მდებარე რაიონებში ძნელდება. გარდა იმისა, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა არ ატარებს სათანადო აღმზრდელი მუშაობას მოსწავლე-ახალგაზრდობაში საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობის გასაძვივებლად, რაიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელობა სამუშაოდ წარგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტებს ხშირად არ უქმნის ცხოვრებისა და მუშაობისათვის საჭირო პირობებს.

არასახარბიელო მდგომარეობაა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული სამუშაოზე განაწილების მხრივ. კულტურის სამინისტრო რეალურ ადგილებზე განაწილის უქონლობის გამო ვერ აწარმოებს სხვადასხვა განხრის და, მათ შორის გამოყენებითი ხელოვნების დარგის მალაკვალიფიკიურ ახალგაზრდა სპეციალისტებს. ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც საკუთარი შესაძლებლობებით ბოლოს და ბოლოს ეწყობიან სამუშაოზე, მონაწილეობენ ჩვენი ყოფაცხოვრების გაღამაზებაში, ქმნიან მიწის, ქსოვილისა თუ ტყავის წანარმის სანიმუშო მოდელებს.

სასწავლო დაწესებულებების წინაშე კვლავ დგას მისაღები გამოცდების ორგანიზაციისა და ჩაბარების შემდგომი სრულყოფის ამოცანა. მართალია, გაიზარდა მომთხოვნელობა, ამაღლდა მისაღები გამოცდების ორგანიზატორთა პასუხისმგებლობა, მაგრამ როცა მისაღებ გამოცდებზე ვლახა-აკრებობ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მოვლენები, რომლის შესახებ ამას წინათ მკაცრი მსჯელობა გაიმართა საქართველოს კ ცენტრალურ კომიტეტში — მხედველობაში გვაქვს არალეგალური კერძო რეპეტიტორების საკითხი. ჯერ კიდევ საგრძნობი სხვაობაა სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მომზადების დონესა და კონსერვატორიის მისაღები გამოცდების მოთხოვნებს შორის. კონსერვატორიის ფსიანამა მოსამზადებელმა კურსებმა ერთგვარად დაუსწავლებლა მდგომარეობა მუსიკალურ-თეორიულ დისციპლინებში, მაგრამ ამ კურსებზე არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური მეცადონებობა, კონსერვატორიაში შესვლის მსურველებს ისეა დარჩენილი, სპეციალობაში კერძო რეპეტიტორებს მიმართილი. როგორც ჩანს, რეპეტიტორთა პირველ რიგში უნდა მოიფიქროს მომავალ აბიტურიენტ-

თათვის სპეციალობაში კონსულტაციების ჩატარების რაიმე ფორმა და პარალელურად მკაცრე გამოცხადების რეპეტიტორობა.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა სამხატვრო აკადემიაში, თუმცა, აქ აბიტურიენტთა უმრავლესობა საშუალო სკოლიდან მოდის და, ამდენად, იძულებულია ყქის მომზადების აქტიური ფორმა, რათა დაძლიოს ის მაღალი მოთხოვნები, რომელსაც აკადემია აბიტურიენტებს უყენებს. კონსერვატორიისაგან განსხვავებით, აკადემიის სპეციფიკა არ ითვალისწინებს ინდივიდუალური მეცადონების ფორმას, რაც აადვილებს მოსამზადებელი კურსების ორგანიზატორთა ამოცანებს.

აკადემიისთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობაზე შემომსვლელთა შესახებ. როგორც ცნობილია, არც ერთი საშუალო და სპეციალური სასწავლებელი არ იძლევა იმ მოცულობის ცოდნას, რომელსაც ითვისისნიენებს ხელოვნების ისტორიაში მისაღები მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, ყოველწლიურად გვაოცებს ამ სპეციალობაზე შემომსვლელთა მომზადების მაღალი დონე. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ახალგაზრდები ცოდნას იძენენ კერძო რეპეტიტორების მეშვეობით. თეატრალურ ინსტიტუტშიც ამის ანალოგიური უნდა იყოს თეატრმცოდნეობის სპეციალობაზე შემომსვლელთა მდგომარეობა. კულტურის სამინისტრო ფიქრობს ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლასა და სამივე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებთან ერთად ერთრეტული ღონისძიებების შემუშავებას.

კიდევ ერთი მეტად მწვავე პრობლემა — სასწავლო-დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფლიგელისა და თეატრალურ ინსტიტუტში სასწავლო თეატრის აშენებას ვერა და ვერ ვუძღირსეთ. ცუდ მდგომარეობაშია საშუალო სპეციალური სასწავლებლები — ავაროულ შენობაშია მოთავსებული თბილისის სამხატვრო სასწავლებლები, რაც საგანგაშოა. საშუალო სკოლებს არიან შეფარებული თბილისის III სამუსიკო და საბინათოთიკო სასწავლებლები. სუსტია თბილისის საექსტრადო-საიკური ხელოვნების სასწავლო ბაზა, ძალიან ნელა მიიწეებს წინ ქორეოგრაფიული სასწავლებლის ბაზის გაუმჯობესების საქმე. მკვდარი წერტილიდან დაიძრა თბილისის სამუსიკო სკოლების მდგომარეობა, შესანიშნავი ბაზა აქვს ხელოვნების სკოლას, ახალ შენობაში გადავიდა IV სამუსიკო სკოლა, დაახლოებით ერთ წელიწადში უნდა დამთავრდეს თბილისის II სამუსიკო სკოლის შენობა. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ბევრია, როცა სამუსიკო სკოლები თავსდებიან საშუალო სკოლების რამდენიმე თოხანში, რის გამოც პედაგოგებს ბინაზე უხდებათ მეცადინეობა (მაგალითად მე-7, მე-19 სამუსიკო სკოლები), ხოლო 22-ე სამუსიკო სკოლას, ბაზა, როგორც ასეთი, საერთოდ არ გაჩნია.

კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი „თბილისის სამუსიკო სკოლების მუშაობის შესახებ“, სადაც აღინიშნა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეში არსებული ნაკლებობები. განხილვის საგანი გახდა კონცერტებზე მოზარდების დას-



წრება. მოვა დრო და საშემსრულებლო ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას მინიჭებულვან ეტაპად მიიჩნევენ, ლეგენდად იქცევა ლანა ისაკაძის სახელი. ახლა კი ლ. ისაკაძისა და მისი უნიჭიერესი კოლეგების კონცერტებზე დარბაზები ხშირად ნახევრადვაკანია. მსმენელი არ დადის ისეთი შესანიშნავი მუსიკოსების კონცერტებზე, როგორებიც არიან ტრეტიაკოვი, კრაიხივი, კიტანეკო. რა უნდა ვილაპარაკო მსმენელთა სხვა ფენებზე, როდესაც მიუხედავად სპეციალური დადგენილებისა, რომლის მიხედვითაც კონცერტებზე დასრება შეტანილია მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულების მეცადინეობის ცხრილით, კონცერტებზე სასწავლებლების მრევლის დაუსწრებლობისათვის მაინც გვიხდება დირექტორების გაკიცხვა. სირცხვილიანი ამით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მუსიკალურ ხელოვნებაში შემთხვევით მოვხვდით.

ბევრი სიბრუნული რაიონულ საბუსიკო სკოლებში, სადა უაღრესად მწვავედ დგას როგორც სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ისე უმეადგოვანი კადრებით დაკომპლექტების საკითხი. ამ საქმის მოსაგვარებლად კულტურის სამინისტრომ გამოიწვია ყველაზე ეფექტური გზა — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურსგარეშე ადგილებს ვაძლევთ რაიონული კულტურის განყოფილებებს, რომლებიც გვანვიანიან განაცხადს მათ დაქვემდებარებაში მიიყვან სკოლებისათვის. მიუხედავად ამისა, სწორედ ის რაიონები არ მოითხოვენ კონკურსგარეშე ადგილებს, რომელთაც ძალიან უჭირს. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონკურსგარეშე ადგილებზე წარმოგზავნილი მოსწავლეების მომზადების დონე ძალიან დაბალია, რაც მათ მიღებას შეუძლებელს ხდის. რაიონულმა კულტურის განყოფილებებმა ამ მიმართულებით მტკი უნდა იმუშაონ. კადრების მოწოდების მომზადება გააძაქრდა მათთვის ამ მინიჭებულვან პრობლემას.

კულტურის მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსების დირექციამ ბოლო პერიოდში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია უკანასკნელ წლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 1589 სპეციალისტმა, მოკლევადიანი სემინარების საშუალებით კი — კულტურის დარგის 4997 მოღვაწემ. სოხუმსა და ცხინვალში შეიქმნა ჯგუფები ცენტრირად დასორებული სოფლების საკლებო და საბინითიეთყო დარგის მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

დიდად გაიზარდა ჩვენი სასწავლო დაწესებულებების კონტაქტების რუკა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მჭიდრო კონტაქტი აქვს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ბაქოს კონსერვატორიებთან, ბუდაპეშტის მუსიკალურ აკადემიასთან, პრაღის კონსერვატორიასა და მუსიკალურ აკადემიასთან, ვაიმარის უმაღლეს საბუსიკო სკოლასთან. შემოქმედებითი ურთიერთობები აქვთ დამყარებული თეატრალურ ინსტიტუტსა და სამხატვრო აკადემიას. ეს კონტაქტები მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორცაა ცნობილ პედაგოგთა მონაწილე კონკერტების წასაკითხად, გარეთე, სტუდენტთა ჯგუფების გაცვლა.

\*\*\*

ქართული მუსიკისათვის უკანასკნელი წლები უკმაყოფილოა მივიჩნიოთ მოძმე რესპუბლიკებთან მეგობრობის გაღრმავების, სოციალისტურ სახელმწიფოებთან დაახლოების, საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის განმტკიცების ახალ ეტაპად. საქმარისა და ვასახელით რამდენიმე მოვლენა: საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და ჩეხოსლოვაკია ქართული ოპერების დადგმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემლობა „შირმერს“ მიერ მუსიკალური ნაწარმოებების დაკვება და გამოცემა, ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების გამარჯვებები ბარსელონის, მონრეალის, ვიენის, მ. ლონგისა და ფ. ტიბოს სახელობის პარიზის საერთაშორისო კონკურსებზე, აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში სისტემატურად იმართებოდა ქართული კულტურის დღეები, რომლებშიც წარმატებით მონაწილეობდნენ ხელოვნების ოსტატები, საესტრადო კოლექტივები, ფართო ასპარეზზე გავიდა ქართული მუსიკალური ფოლკლორი. მაღალი შეფასება დამისახურეს „ოლიმპიად 80“-ის პროგრამაში მონაწილე კოლექტივებზე. მუშაობის დადებით მხარეებზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ორი ახალი სიმფონიური ორკესტრის შექმნა (ქუთაისი და ბათუმი), თბილისში მუსიკალური ფილკლორის ტექორის გახსნა. გამოიძებნა მკურნალებთან კონტაქტის დამყარების ახალი ფორმები: „ახალგაზრდა მუშის ფორმირონია“, „საბავსუო ფორმირონია“, დანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობლები დედაქალაქის მუშათა რაიონებთან, შრომითი რეზერვების სისტემასთან. დაინერგა მუსიკალური ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარების პრაქტიკა. გაიზარდა საგანტროლო მოღვაწეობის გეგმარება. ყოველწლიურად საქართველოს საკონტრტო ორგანიზაციები მსმენელებს სთავაზობენ ათასობით კონცერტს, მუსიკალური თეატრები მათთვის მართავენ ცხოვრების წარმოგონებას, მაგრამ ეს ყოველთვის არ კეთდება მაღალ დონეზე.

გარკვეული ძვრები მოხდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელად დანიშნვის შემდეგ. თეატრის რეპერტუარი სრულყოფილია ვერცხლს „ოტელის“ ღირსული დადგმა (რეჟისორი და დამსტუი, დირ. გ. აზნაფარაშვილი), ნიჭიერად დადგა ოპერა „პირველი სიყვარული“ რეჟისორმა გ. მელიამ, სექტაკლი დამსტუი მ. ნიგარაძის სცენოგრაფიამ, საოპერო დასისთვის დიდად სასარგებლო იყო გამოჩენილ საბჭოთა რეჟისორ ს. შტინთან მუშაობა „ვევნი ონგინის“ დადგმის დროს. წარმატებით დიდად თანამედროვე აზერბაიჯანული კომპოზიტორის ფ. ამიროვის ბალეტი „ათას ერთი ღამე“, რომელიც ბაქოს ოპერის და ბალეტის თეატრის დამდგამთა ჯგუფმა განახორციელა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მისასაღწებელია. ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობა სწორად და კარგად აფასებს ამ მოვლენებს.

მაგრამ წარმატებებთან ერთად თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრს, კულტურის სამინისტროს, ჯერ



კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე რეპერტუარის მეტი ნაწილი სცოდანს საჯალალო ხარვეზებით. ზოგი სპექტაკლის დონე ძალზე დაბალია. ჩვენ ვხედავთ ამ ნაკლოვანებებს, ვაანალიზებთ მათ გამოწვევებს მიზეზებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ თეატრს არ ჰყავს არც მთავარი რეჟისორი და არც მთავარი ბალეტმეისტერი. ჩვენ ვფიქრობთ ამ საკითხების გადაწყვეტაზე. ვანარმოებთ მოლაპარაკებას გამოჩენილ რეჟისორებთან და ბალეტმეისტრებთან. ჩვენ მათ მივცემთ სპექტაკლებს დადგმის საშუალებას, ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში შევარჩევთ ღირსეულ კანდიდატურებს.

ამ ბოლო წლებში ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომპიდიის თეატრმა შეგნებულად შეცვალა მუშაობის გეზი, ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა ფანრის გათავისება თანამედროვე მუსიკალური თეატრის მოთხოვნებითა შესაბამისად. ამ მხრივ თეატრმა მართლაც მიაღწია პროფესიული დონის ახალღებს, შემოქმედებით წარმატებებს. მაგრამ ამ ძიებების დროს განჩინდა ისეთი სერიოზული საშიშროება, როგორცაა საოპერეტო ფანრის სპეციფიკისაგან დაშორება. ისიც უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელობამ გარკვეული ანგარიში გაუწია თეატრის ირგვლივ შექმნილ კრიტიკულ აზრს და ძიებებთან ერთად შეუდგა აღიარებული სპექტაკლებისა და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ტრადიციების აღდგენას, რითაც თეატრის მუშაობას უფრო მრავალმხრივი ხასიათი მიეცა.

იმ კოლექტივებს შორის, რომლებიც ქართულ მუსიკალურ კულტურას მაღალ დონეზე და საერთაშორისო მასშტაბით უწევენ პროპაგანდას, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტი. ამ კოლექტივის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მეტყველებს სავსე საკონცერტო დარბაზები, ამ ფანრისადმი ქართველ კომპოზიტორთა მზარდი ინტერესი. თბილისში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტი, რომელიც კარგ შემოქმედებით სერსაუქტეჯას გვიქადას. აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი. მისი მონაწილეობა „ოლიმპიადა 80“-ის და სკკპ XXVI ყრილობის პროგრამაში სსრკ კულტურის სამინისტროს მიერ ორგანს აღინიშნა მაღლობითა და ფულადი პრემიით, მაღალ დონეზეა ანსამბლ „რუსთავის“ ხელოვნება და მისი წევრების მუსიკალურ-განმანათლებლური მოღვაწეობა. აშკარაა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის წინსვლა. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს საქმსერსულელო ხელოვნების სრულყოფის მიზნით საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, კაპელაში, კამერულ ორკესტრში, რომლებსაც მუშაობის ნორმალიზაციისთვის არ გააჩინათ სათანადო პირობები — სარეპეტიციო დარბაზი, შენობა არა აქვს პანტომიმის თეატრსაც.

ეს საკითხი გადასაჭრელია აფხაზეთის, ოსეთის და აჭარის კოლექტივებშიც.

მრავალი სირთულის წინაშე დგას ქუთაისის საოპერო თეატრი. მიუხედავად ამისა, იგი კარგად ართმებს თავს დასახულ ამოცანებს, დროულად ასრულებს შემოქმედებით გეგმებს. მისასაღმებელია, რომ თბილისისა და ქუთაისის საოპერო დასები შეთანხმებულად მუშაობენ.

თბილისში 1981 წლის ოქტომბერში ჩატარდება ისეთი მასშტაბური ღონისძიება, როგორცაა საბჭოთა მუსიკის ფესტივალი, რომლის ორგანიზაციაზე მუშაობენ საქართველო და საქართველოს კულტურის სამინისტროები, კომპოზიტორთა კავშირები.

თბილისში ჩამოვლენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივები, ცნობილი დირიჟორები, შემსრულებლები, კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები. მუსიკის ამ დიდ ზეიმში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მუსიკოსები, გაიმართება მრავალი საინტერესო კონცერტი და დისპუტი დევიზით „მუშანისში საბჭოთა მუსიკაში“. ცხადია, ამ დიდ საქმეს საკადრისი მომზადება სჭირდება, ვიმედოვნებთ, რომ ამჯერადაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აქტიურად დაგვეხმარება.

\*\*\*

მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდაში განსაკუთრებული როლი ენიჭება თეატრალურ ხელოვნებას. ქართული თეატრის წარმატებას აპირობებს მაღალნიჭიერი ხელოვნათა დიდი ჯგუფი. დაიბ, დღეს ქართული თეატრში მოღვაწეობს მრავალი ნიჭიერი რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი-დეკორატორი, კომპოზიტორი, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო მშობლიური თეატრის, არამედ საერთოდ საბჭოთა თეატრალური კულტურის მაღალ დონესა და პრესტიჟს. ამაზე მეტყველებს ის ცხოველი დაინტერესება, რასაც ქართული თეატრალური კულტურისადმი იჩენენ სპეციალიტები, მყარებულთა ფართო წრეები.

დღეს ხშირად და სამართლიანად ვლაპარაკობთ ჩვეს რესპუბლიკაში ზნეობრივი კლიმატის, ზნეობრივი ატმოსფეროს გაუზარდაზე. ეს აბსტრაქცია როდია იგი ცხადდება კონკრეტულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, სადაც ზნეობრივი საწყისი ესთეტიკურს უკავშირდება.

ერთი წუთით დაფიქვით, რომ რუსთაველის თეატრის ირგვლივ შექმნილიყო ისეთი ვითარება, რომელიც შეუძლებელი გახდოდა რობერტ სტურუას ისეთი საინტერესო, პოლიტიკურად მძაფრი სპექტაკლის არსებობას, როგორც იყო „ყვარყვარე“.

ვთქვად და მართლა აგვერძაღვა ეს სპექტაკლი! რა შედეგი მოჰყვებოდა ამას? უპირველესად ის, რომ არ გვექნებოდა არც ბრეხტის „კაკასიური ცარცის წრე“, არც შექსპირის „რიჩარდ III“ და არც ის დიდი წარმატება, რომელიც რუსთაველის თეატრს აქვს საბჭოეთისა და უცხოეთის თეატრების სცენაზე. დაიბ, ბოლო დროს ჩვენში დამკვიდრდა გაბადული ძიებების ატმოსფერო. ეს ეხება თეატრს, ტელე და კინო ეკრანს, სახეობს და მუსიკალურ ხელოვნებას. მხოლოდ ძიებები ქმნიან რეალისტური წანარმოებების გამარ-



